

საქართველოს კანონი
საქართველოს საბაჟო კოდექსში
ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. “საქართველოს საბაჟო კოდექსში” (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე № 39, 09.08 2006 , მუხ. 280) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-8 მუხლის მეოთხე ნაწილი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“4. საბაჟო პროცედურების განხორციელებისას წარმომადგენელი შეიძლება იყოს პირი (გარდა ამ მუხლის მე-8 ნაწილით განსაზღვრული პირისა), რომლის პასუხისმგებლობაც საბაჟო ორგანოს წინაშე მუდმივად უზრუნველყოფილია საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული 50 000 ლარის ოდენობის საბანკო გარანტიით ან ამავე ოდენობის ფინანსური რისკის სადაზღვევო პოლისით. საბანკო გარანტიისა თუ სადაზღვევო პოლისის წარდგენისა და გამოყენების წესებს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი შესაბამისი ბრძანებით”.

მუხლი 2 ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი